ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31253008**
თარიღი: **27/10/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ თავმჯდომარის გიორგი ხელაძის 2025 წლის 15 იანვრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

სოფელი, თემი, დაბა: ლანჩხუთის რაიონი სოფელი წყალწმინდა.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 17 ოქტომბერი, 2025 წელი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ია ბარამიძე.**

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე** შეხვდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ წყალწმინდის მოსახლეობას. ანგარიშის წარდგენამდე ის მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა მათ, რათა გამონახეს დრო მასთან შესახვედრად. აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად საკრებულოს წევრმა **გიორგი ხელაძემ** წარმოადგინა 2025 წლის 15 იანვრიდან დღემდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. მან აღნიშნა, რომ უფლებამოსილებას შეუდგა 2021 წ. 4 დეკემბერს. არის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის წევრი.
საანგარიშო მოხსენებაში **გიორგი ხელაძემ** მიმოიხილა საკრებულოს დაკომპლექტების საკითხები. ისაუბრა საკრებულოსა და ბიუროს საქმიანობის შესახებ. ფართოდ მიმოიხილა იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მუშაობა, რომელსაც მეოთხე წელია ხელმძღვანელობს და მიმდინარე წლის განმავლობაში კომისიას ჩატარებული აქვს 12 სხდომა. სხდომებზე მოხდა, როგორც სამუშაო გეგმით გათვალისწინებული, ასევე მიმდინარე საკითხების განხილვა. კომისიამ, როგორც მერიის სამსახურებიდან, ასევე საკრებულოს სხვა კომისიებიდან ინიცირებული პროექტები განიხილა, შეისწავლა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები, იმსჯელა ავტოსატრანსპორტო საშუალების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ, აგრეთვე იმუშავა საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცებაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.
კომისიამ განიხილა, განსაზღვრა და შეიმუშავა წინადადებები მუნიციპალიტეტის

საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დადგენის შესახებ, განიხილა ხელფასების მატების საკითხი. გააკონტროლა საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დაცვა და შესრულება, კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მიღება. აღსანიშნავია კომისიის შვიდივე წევრის აქტიური ჩართულობა როგორც საკითხების განხილვაში, ასევე გადაწყვეტილებების მიღებასა და სხვადასხვა პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში.

გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ გარდა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიისა იგი არჩეულია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ლანჩხუთის საოლქო ორგანიზაციის აღმასრულებელ მდივნად. მანვე აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ აგვისტოს თვეში შეიქმნა საარჩევნო შტაბი, შემუშავდა სპეციალური გრაფიკი მოსახლეობასთან შეხვედრებისათვის, შეირჩა და სპეციალური ტრენინგები გაიარეს კომისიის წევრებმა, დამკვირვებლებმა. არჩევნები 31 გამსხვილებული უბნიდან 25-ში ჩატარდა ელექტრონულად - ახალი ტექნოლოგიით, ხოლო 6 უბანზე ძველი მეთოდით. წინასაარჩევნო პერიოდში დაახლოებით 60 შეხვედრა ჩატარდა ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, ცალკეულ სოფლებში. მოეწყო თემატური შეხვედრები. ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში შეირჩა გამოცდილი, ავტორიტეტული პიროვნებები მაჟორიტარ კანდიდატებად, ასევე გამორჩეული პიროვნებებით დაკომპლექტდა პარტიული სიაც. ყოველივე აღნიშნულს უნარიანად ხელმძღვანელობდა საარჩევნო შტაბის უფროსი, მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი,** რომელიც მესამე ვადით იყრიდა კენჭს მერობის კანდიდატად.

გიორგი ხელაძემ ასევე ისაუბრა 4 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შესახებ და აღნიშნა, რომ ჩვიდმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმარჯვა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა, ხოლო პროპორციულ არჩევნებში 15 ადგილიდან „ქართულ ოცნებას“ 12 მანდატი ერგო. ძალიან მაღალი შედეგით, დაახლოებით 88.5 % - ით გაიმარჯვა მერობის კანდიდატმა - **ალექსანდრე სარიშვილმა.** ასევე მაღალი პროცენტით გაიმარჯვა **ბესიკ კვაჭანტირაძემ,** რომელსაც გულითადად მიულოცა დამსახურებული გამარჯვება.

გიორგი ხელაძემ ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ სოფელ წყალწმინდაში არსებულ 2 ძირითად ქუჩას მიენიჭა ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული პიროვნებების - პაატა პაპიძისა და ნიკა იმნაძის სახელები და მომავალ წელს მოეწყობა სპეციალური ფირნიშები მათი სახელობის ქუჩებზე.

გიორგი ხელაძის თქმით, იურიდიულმა კომისიამ და მისმა წევრებმა **ბესიკ კვაჭანტირაძესთან** ერთად ძალიან იაქტიურეს, რომ წყალწმინდის საჯარო სკოლას მინიჭებოდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი, ეროვნული გმირის - დავით რამიშვილის სახელი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა აღნიშნულ საკითხს აქტიურად დაუჭირა მხარი.

ასევე მან შეხვედრის მონაწილეებს მოუწოდა, რათა აქტიურად ჩაერთონ და წარმოადგინონ თავიანთი ხედვები, წინადადებები, ისაუბრონ როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

საანგარიშო შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ და სოფლის წინაშე არსებულ სხვადასხვა პრობლემებზე ისაუბრეს: ირმა კეშელავამ, ნატო კუტალაძემ, ბესიკ კვაჭანტირაძემ, თამარ როყვამ.

ბესიკ კვაჭანტირაძემ აღნიშნა, რომ ზღვაზე გასასვლელი გზის მოწესრიგებაში აუცილებლად საჭიროა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და გუბერნიის ჩართულობა, მანვე აღნიშნა, რომ აუცილებელია საყანე ფართობების შეღობვა, რადგანაც დაახლოებით, 300 ოჯახი ვერ ამუშავებს ფართობებს იმის გამო, რომ არ არის ფართობი შეღობილი და რომ სულ შესაღობია 80 ჰა მიწის ნაკვეთი.

თამარ როყვამ დასვა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა სოფელს ჰქონდეს მოსაცდელი, რაზეც **გიორგი ხელაძემ** უპასუხა, რომ მუნიციპალიტეტის მერი აქტიურადაა ჩართული ამ საკითხის მოგვარებაში და მომავალ წელს სოფელში აუცილებლად გაკეთდება მოსაცდელი.

ნატო კუტალაძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობის სურვილია კვირაში ერთ დღეს მაინც მოხერხდეს ექიმის წყალწმინდაზე მისვლა.

შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე წელს დიდი რაოდენობით იყო

ტურისტების ვიზიტი დაბა ურეკში. მიუხედავად იმისა, რომ სოფელ წყალწმინდიდან ზღვა ახლოსაა, სოფელს არ გააჩნია უმოკლესი გზა, რაც ტურისტულად შემოსავლიანი იქნება თითოეული მოსახლისათვის.
დადებითად აღინიშნა, რომ ჭონჭყოს უბანში მოეწყო სანიაღვრე არხები, ხოლო მომავალ წელს დაგეგმილია გზის საფარის მოწყობა. ასევე, სოფელ ღრმაღელეში აშენდა და კეთილმოეწყო საბავშვო ბაღი.
გიორგი ხელაძემ ვრცლად ისაუბრა მიმდინარე წელს გურიის რეგიონში განვითარებული სტიქიის შესახებ და აღნიშნა, რომ ამ პრობლემების მოგვარებისთვის მუნიციპალიტეტში დაიხარჯა დაახლოებით 23 მლნ. ლარი. უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განხორციელდა იმდენი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორც არცერთ სხვა წლებში. კერძოდ, აშენდა 5 ახალი საბავშვო ბაღი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქის 9 ქუჩას და შესრულდა სხვა მნიშვნელოვანი პროექტები.
შეკრების მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს თანადგომისა და ყურადღებისთვის.
გიორგი ხელაძემ შეკრების თითოეულ მონაწილეს მადლობა გადაუხადა მობრძანებისა და აქტიურობისათვის. მანვე აღნიშნა, რომ ახალ არჩეულ დეპუტატთან **ბესიკ კვაჭანტირაძესთან** ერთად მაქსიმალურად ჩაერთვება ყველა იმ პრობლემის მოგვარებაში, რომელიც აწუხებს წყალწმინდის მოსახლეობას.

პატივისცემით,

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე